

პარალელური ანთროპონიმთა წარმოქმნის საშუალებები ქართულში MEANS OF FORMATION PARALLEL ANTHROPONYMS IN GEORGIAN

ნანა შოშიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

Nana Shoshiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

 <https://orcid.org/0009-0008-1827-2406>

საკვანძო სიტყვები: საყდენი სეგმენტი, პარალელური ანთროპონიმები

Keywords: base segment, parallel anthronyms

ABSTRACT

Anthroponyms are an interesting part of the general vocabulary of a language. Currently, our goal is to study parallel anthroponyms. Parallel variants generated by different means are called unofficial variants of official anthroponyms (for example: Daviti — Data, Dato, Dati, Datiko, Datikona, Datuna, Datunia, Dateba...).

For the analysis of parallel anthroponyms, we considered it necessary to put a matter about the separation of base segments in official anthroponyms; A base segment is called the part of the official name that participates in the formation of parallel forms. In the presented example (Daviti) the first syllable and the last consonant (da-t) are used as a base segment.

The searched material, its analysis and the obtained conclusions should be interesting from an interdisciplinary (in particular: linguistics, psychology, sociology and etc.) point of view.

We analyzed the empirical material using Historical-comparative, Descriptive, Statistical and Corpus-based studies research methods.

In the official name, we represented one segment (Otari > Ot-iko, Ot-una — the base segment being “Ot”...); two-segmented (Elguja > Elgu // Guja, Guj-i — the base segments are “Elgu” and “Guj”) and three-segmented (Elisabedi > Eli, Liza, Sabedo) onyms.

Structurally, the base segment can be a) only a consonant part of the origin name (the base segment of “Nino” is the “n” phoneme (N-uts-a, N-uts-ik-o)); b) only one syllable of the origin name (the parallel forms of “ana”: An-uk-a, An-ka, An-ik-o, An-un-a, An-cho, etc. the base segment being “An”) or c) two syllables of the origin name (in the onym “Ioane” segment is the two-syllable “Io”).

The parallel form of the origin anthroponym is obtained by keeping the base segment and a) apocoping the sound or sounds of the onym (Tarieli > Taro; Bachana > Bacha); b) by loss of sound or syllable in anlaut (Iakobi > Koba; Mzekhatuna > Khatuna); c) syncopating a sound or sounds (Anastasia > Nastia; Elisabedi > Liza). A parallel anthroponym can be obtained by adding different affixes (for instance: Ana + uka > Anuka); The purposeful use of vowel suffixes in onyms, for example: Dat-i, Dat-a, Dat-u, Gvants-i, Nat-u...

The parallel variant of the origin anthroponym can be shorter than the official name (Nikolozhi > Niko) or, on the contrary, represent a more extensive form (Saba > Sabunia). That is why we consider that the creation of parallel names is not a process caused by economy.

Different anthroponyms sometimes have the same parallel form, that's why it is not always possible to determine the starting name based on parallel forms. We called such proper names conventionally common parallel forms, for example: the common parallel form of Iason, Iacob and Iamze is “Ia”.

The same proper name, in one case, can be the primary one, and in the other case, it can be a parallel proper name. For example, “Khatuna” is an origin anthroponym, but in the onim “Mzekhatuna” Khatuna is a secondary onym. Therefore, what is basic for one can be parallel for another.

The impression remains that the possibility of generating parallel anthroponyms is undefined. The imagination of the nominator is diverse, that is why he/she can create a completely new variant of the origin onym, which will further enrich the lexical stock of the language.

ანთროპონიმები ენის საერთო ლექსიკის საინტერესო ნაწილია. ჩვენი კვლევის კონკრეტული მიზანია, შევისწავლოთ პარალელური ანთროპონიმები. პარალელურად განიხილება ოფიციალურ ანთროპონიმთა არაოფიციალური, სხვადასხვა საშუალებით წარმოქმნილი ვარიანტები; მაგალითად, დავითის არაოფიციალური ფორმებია: დათა, დათო, დათი, დათია, დათიკო, დათიკონა, დათუნა, დათუნია, დათება... ჩვენთვის საინტერესოა დავაკვირდეთ არა პარალელურ ფორმათა სემანტიკურ მახასიათებელს, არამედ მათი წარმოქმნის საშუალებებს.

მოძიებული მასალა, მისი ანალიზი და მიღებული დასკვნები საინტერესო უნდა იყოს ინტერდისციპლინური (კერძოდ: ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და სხვა...) თვალსაზრისით.

ემპირიული მასალის ანალიზისას გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი, აღწერითი (დესკრიფციული), სტატისტიკური და კორპუსზე დამყარებული (Corpus-based studies) კვლევის მეთოდები.

პარალელურ ანთროპონიმთა ანალიზისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ, დაგვესვა საკითხი ამოსავალ ანთროპონიმებში საყრდენი სეგმენტების გამოყოფის შესახებ; საყრდენს ვუწოდებთ იმ სეგმენტს ოფიციალური სახელისა, რომელსაც ემყარება პარალელური ვარიანტი. წარმოდგენილ მაგალითში (დავითი) საყრდენად არის გამოყენებული პირველი მარცვალის და ბოლო თანხმოვანი (და-თ).

ამოსავალ (ოფიციალურ) სახელში გამოვყავით: ა) ერთსეგმენტიანი (ოთარი > ოთ-იკო, ოთ-უნა — საყრდენია „ოთ“...); **იხ. სქემა I. ბ)** ორსეგმენტიანი (ელგუჯა > ელგუ // გუჯა, გუჯ-ი — საყრდენია „ელგუ“ და „გუჯ“; თეიმურაზი > თემური, თემურ-ა, თემ-უკ-ა // მურაზი, მურაზ-ა — საყრდენია „თემუ“ და „მურაზ“...); **იხ. სქემა II** და გ) სამსეგმენტიანი (ელისაბედი > ელი, ლიზა, საბედო; ელენე > ელე, ლენა, ნელი...) ონიმები, **იხ. სქემა II.**

ერთი საყრდენი სეგმენტის მქონე ანთროპონიმები წარმოვადგინეთ ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი საყრდენი ძირის, იმავე სეგმენტის, მქონე შემცველ სახელებად. მაგალითად, „თამარის“ საყრდენი სეგმენტი მხოლოდ CV სტრუქტურის მქონე ერთმარცვლიანი „თა“ ბგერათმომდევრობაა, რადგანაც მისი ყველა პარალელური ფორმისათვის მხოლოდ ეს მარცვალაა საერთო (თამრიკო, თამთა, თამუნია, თაკო, თათა, თათული...).

ერთსეგმენტიან ანთროპონიმებში გავმიჯნეთ ერთი მარცვლის შემცველი საყრდენი სეგმენტის სხვადასხვა სტრუქტურა: VC (აკაკი > აკუნა, აკო...), VCC (ირმა > ირმიკო, ირმეშკი...), CVC (გაბრიელი > გაბიტა, გაბა...), CV (დიანა > დიკო, დინო...), CCV (მზევინარი > მზეო, მზია...), CVCC (მარგალიტა > მარგო, მარგუშა...), C (ნინო > ნუცა, ნუცკია...)... სტრუქტურათა ჩამონათვალი შესაძლოა კიდევ გაგრძელდეს (შოშიაშვილი, ა., 2024, გვ. 36).

რაც შეეხება ორმარცვლიანი საყრდენი ძირის მქონე ანთროპონიმებს, ამის მაგალითად დავასახელებთ ონიმ „მაიას“ (მაიკო, მაი...). მოცემულ საკუთარ სახელს აქვს ერთი საყრდენი სეგმენტი (მაი), მაგრამ ის ორმარცვლიანია. შესაბამისად, საჭიროა ერთმანეთისაგან გამოვყოთ მსგავსი სტრუქტურის მქონე ონიმები.

ონიმის მრავალსეგმენტიანობა შეიძლება დამოკიდებული იყოს მის მარცვალთა რაოდენობაზე. მაგალითად, ორ- და სამსეგმენტიანი ანთროპონიმები სამ- (ივანე), ოთხ- (ქაიხოსრო) და ხუთმარცვლიანია (ეკატერინე), მაგრამ ერთსეგმენტიანი ონიმიც შეიძლება იდენტური მარცვალთა რაოდენობის მქონე იყოს. მაგალითად, მარგალიტა ოთხმარცვლიანია და მხოლოდ ერთი (მარგ) საყრდენი სეგმენტი აქვს (მარგო, მარგუშა, მარგუში...). ერთსეგმენტიანი ონიმები ძირითადად ორი (გივი) და სამი (თორნიკე) მარცვლის მქონეა, იშვიათად — ოთხი (მაგდალინა) და ხუთი (ბესარიონი).

სამსაყრდენსეგმენტიანი ონიმი რამდენიმეა, მაგალითად:

ა დ ე ქ ს ა ნ დ ხ ე	ე დ ე ნ ე
1) ადე, ადექსი...	1) ედე, ედო...
2) დექსო, დექსუნა...	2) დენა, დენკა...
3) სანდხო, სანდჰუნა...	3) ნედი, ნედიკო...
ა ნ ა ს გ ა ს ი ა	ე დ ი ს ა ბ ე დ ი
1) ანა, ანუკა...	1) ედი, ედბა...
2) ნასტა, ნასტია...	2) დიზა, დიზი...
3) გასო, გასიკო...	3) საბედო

(შოშიაშვილი, ა., 2024, გვ. 37)

სტრუქტურული თვალსაზრისით ამოსავალი სახელის საყრდენი სეგმენტი შეიძლება შედგებოდეს: ა) ოდენ კონსონანტისგან („ნინო“-ს საყრდენი სეგმენტი „ნ“ თანხმოვანი (ნ-უც-ი, ნ-უც-კა); ბ) ერთი მარცვლისა („ანას“ პარალელური ფორმებისთვის: ან-უკ-ა, ან-კა, ან-იკ-ო, ან-უნ-ა, ან-ჩო და ა.შ. საერთოა „ან“ ბგერათკომპლექსი) ან გ) ორი მარცვლისგან (ონიმში „იოანე“ საყრდენი სეგმენტი ორმარცვლიანი „იო“) (შოშიაშვილი, ბ., 2024, გვ. 88-89).

ანთროპონიმთა საყრდენ სეგმენტში შემავალი ფონემებიდან ზოგჯერ იკარგება: ა) ვოკალი (ეკატერინე > კატერინა); ბ) კონსონანტი, ძირითადად სონორი (ბადრი > ბადი); გ) კონსონანტისა და ვოკალის კომბინაცია (VC / CV) (ელგუჯა > გუჯა, რევაზი > რეზი); დ) რამდენიმე ფონემა (თევდორე > თედო, კონსტანტინე > კოტე).

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამოსავალი ონიმის პარალელურ ფორმებში ხშირად უჩინარდება სონორი. სონორის დაკარგვაზე მოქმედებს ის, თუ რა პოზიციას იკავებს და რომელი ბგერების მეზობლობაშია იგი. მაგალითად, თუ ის ანლაუტშია, არ დაიკარგება, რადგანაც მის მეზობლობაში აუცილებლად წარმოდგენილი იქნება ვოკალი (ლუკა, ნიკა), ხოლო თუ ონიმის შუაშია მოქცეული და იქმნება შემდეგი ბგერათმომდევრობა: CC ან CCC, ამ დროს ხშირ შემთხვევაში გაუჩინარდება (თორნიკე

> თოკო, კონსტანტინე > კოსტა) ან დისიმილირდება (ბარბარე > ბარბალე). თანხმომავანთკომპლექსის შემთხვევაში რჩება ის ფონემა, რომელსაც თანხმომავანობის უფრო მეტი ძალა აქვს, შესაბამისად, სონორი ვერ ინარჩუნებს თავის პოზიციას.

ონიმთა საყრდენი სეგმენტის ფონემები ცვლილებას არ განიცდის. თუმცა გარკვეული შემთხვევები მაინც შეიძლება დადასტურდეს. მაგალითად, ო-ს გადასვლა უ-ში (სულო < სოლომონი); ე-ს ჩანაცვლება ი ხმოვნით (ირაკლი < ერეკლე, დიმიტრი < დემეტრე — მაგრამ აღნიშნული ცვლილება არა ქართული, არამედ ბერძნული ენის ნიადაგზე განხორციელდა); ვ თანხმომავანის ჩანაცვლება ო ხმოვნით (ლეო < ლევანი) და ა.შ.

ამოსავალი ანთროპონიმის პარალელური ფორმა მიიღება საყრდენი სეგმენტის შენარჩუნებითა და ა) ონიმის უკანასკნელ ბოლოში ბგერათა ჩამოშორებით (ტარიელი > ტარო; ბაჩანა > ბაჩა); ბ) საწყისი ფონემის (ფონემების) მოკვეციტ (იაკობი > კობა, მზეხათუნა > ხათუნა); გ) ფუძეში ბგერების დაკარგვით (ანასტასია > ნასტია, ელისაბედი > ლიზა). პარალელური ანთროპონიმი შეიძლება წარმოიქმნას ამა თუ იმ ფორმანტის დართვითაც (მაგ.: ლაშა + იკო > ლაშკო); მოხშირდა ხმოვნის სუფიქსის დანიშნულებით გამოყენება ონიმებში, მაგ.: დათ-ი, დათ-ა, დათ-უ, გვანც-ი, ნატ-უ...

ოფიციალური ონიმის პარალელური ფორმა შეიძლება იყოს ამოსავალი ონიმზე მოკლე (ნიკოლოზი > ნიკა/ო, დარეჯანი > დარო, აბესალომი > აბე, დემეტრე > დემე...) ან ვრცელი (ანა > ანანუშკი, მერი > მერიკუნა, საბა > საბუნია...). „ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ პაჩაღელუხ სახედთა წაჩმოქმნა ეკონომიით გამოწვეული პროცესი ახ ახის“ (შოშიაშვილი, ა., 2024, გვ. 42).

სხვადასხვა ონიმს ზოგჯერ საერთო პარალელური სახელი აქვს, შესაბამისად, ძნელდება ამა თუ იმ ონიმის ამოსავალი ფორმის გარკვევა. ასეთ საკუთარ სახელებს **საზიარო პარალელურ ფორმებად** განვიხილავთ (შოშიაშვილი. ბ., 2024, გვ. 96), მაგალითად: იასონის, იაკობისა და იამზეს საზიარო პარალელური ფორმაა „ია“; გრიგოლისა და გიორგისათვის ასეთ ფორმებად მიიჩნევა: „გია“, „გიგი“, „გიგა“, „გიგო“, „გიგუცა“ და ა.შ. შემდეგ საკუთარ სახელებს: მარიამს, მაკრინესა და მაიას მოიხსენიებენ საერთო ალერსობითი ფორმით „მაიკოთი“. ზურაბ ქუმბურიძე აღნიშნავს, რომ „გიუნა“ გივის პარალელური ფორმაა (ქუმბურიძე, 2003, გვ. 142), ჩვენ რეალურ ყოფაში გიორგის მოფერებით ფორმადაც დავადასტურეთ აღნიშნული ონიმი. ასეთი მაგალითები მრავლად მოიპოვება. ასეთ დამთხვევას კი ფონემათა საერთო მიმდევრობა ქმნის (შოშიაშვილი, ბ., 2024, გვ. 96).

ერთი და იგივე საკუთარი სახელი, ერთ შემთხვევაში, შეიძლება იყოს პირველადი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, პარალელური ანთროპონიმი. მაგალითად „ხათუნა“ ამოსავალი ონიმია, მაგრამ „მზეხათუნასთვის“ ხათუნა პარალელურ ვარიანტად

ჩაითვლება. აქედან გამომდინარე, ის, რაც ამოსავალია ერთისთვის, შეიძლება მეორისათვის პარალელური იყოს.

ამოსავალ ონიმთა პარალელურ ფორმებად ხშირად დასტურდება **დავითო** ტიპის ფორმები — დავითი > დათა, დათი, დათუკა, დავითო... „დავითო“ ტიპის საკუთარ სახელებში „ო“ ფუძისეულადაა გადაზრებული და ბრუნვის ნიშანი „ო“-ს შემდეგაა წარმოდგენილი (დავითო-მ). წოდებითი ბრუნვის ნიშანი ფუძისეული „ო“-სგან რომ გავმიჯნოთ, მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ კონტექსტს. ქვეყნის რეფერენციალურ ქვეკორპუსში მოვძებნეთ ონიმ „დავითოს“ შემცველი წინადადებები. მოძიებული თვრამეტი ფორმიდან წოდებით ბრუნვაში მხოლოდ სამგზის დადასტურდა ონიმი, მაგალითად: „აგერ ვართ ბატონო დავითო“; სახელობით ბრუნვაში 5 შემთხვევაში იდგა: „დავითო უკვე ჩალიან ხევის პირს იყო“; მოთხრობითში ექვსი მაგალითი იყო წარმოდგენილი „დავითომ ნაბიჯს უმატა“; მიცემითში — 3, მაგ.: „ხევის ხმაზე ისევ მოსწყურდა დავითოს“, ნათესაობითში — 1, მაგ.: „რიყის ქვა ჩხრიალით მიჰყვებოდა დავითოს ნაბიჯს“. დავძებნეთ „ეთეროს“ გამოყენების შემთხვევებიც და 123 სიტყვა-ფორმიდან ანთროპონიმი წოდებით ბრუნვაში მხოლოდ ორგზის იდგა. 99-ჯერ დადასტურდა ნომინატივში, ერთხელ ერგატივში, 6-ჯერ დატივსა და 15-ჯერ გენეტივში (შოშიაშვილი, ბ., 2024, გვ. 99). აქედან გამომდინარე, -ო ფორმანტი მსგავსი ტიპის სახელებში უკვე შეუზარდა ფუძეს და ხელახლა დაიწყო მათი ბრუნება.

2024 წელს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას („მეტსახელების გრამატიკული და სემანტიკური ანალიზი კახურში სოფელ ველისციხის მაგალითზე“) წარმოვადგინეთ 130 ამოსავალი ონიმი. ოფიციალური სახელების გვერდით ავსახეთ მათი პარალელური ფორმებიც, რომელთა უმეტეს ნაწილს კინობით-ალერსობითი ფორმანტი ჰქონდა დართული. Voyant Tools-ის პროგრამის გამოყენებით გავარკვიეთ, თუ რომელი სუფიქსები იყო მეტად პროდუქტიული (<https://voyant-tools.org/?lang>), ესენი აღმოჩნდა: -ა (თანდილა), -ო (ბაქრო), -იკო (დათიკო), -უნა (ლაშუნა) და -კო (ანზორიკო) ფორმანტები (შოშიაშვილი, ა., 2024, გვ. 61-62).

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ პარალელური ანთროპონიმების წარმოქმნაში მთავარი როლი აკისრია საყრდენ სეგმენტს. საყრდენ სეგმენტად შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ კონსონანტი, ერთი ან ორი მარცვალ და, როგორც წესი, ის ცვლილებას არ განიცდის. საყრდენ სეგმენტში შეიძლება გაუჩინარდეს სხვადასხვა ფონემა, განსაკუთრებით ხშირია სონორის დაკარგვა CC ან CCC მიმდევრობის დროს.

რამდენიმე საყრდენი სეგმენტის ქონის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი ონიმის მარცვალთა რაოდენობა აღმოჩნდა და გამოვყავით ერთ-, ორ- და სამსეგმენტიანი ანთროპონიმები.

ფონეტიკური პროცესების (სინკოპეს, აპოკოპესა და აფერეზისის) საფუძველზე მივიღეთ ამოსავალი ონიმის მრავალფეროვანი პარალელური ფორმები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში კნინობით-ალერსობითი ფორმანტით იყო გაფორმებული. ყველაზე მეტად ნომინატორი ონიმს ურთავს შემდეგ სუფიქსებს: -ა, -ო, -იკო, -უნა და -კო ბოლოსართებს.

ზოგიერთ ონიმს აღმოაჩნდა იდენტური მოფერები
ბითი ფორმა და მათ საზიარო ფორმები ვუნდეთ
(მაგ.: „გიგო“ არის გიორგისა და გრიგოლის ალერსო-
ბითი ფორმა).

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პარალელურ ანთროპონიმთა წარმოქმნის შესაძლებლობა განუ-

საზღვრელია. ნომინატორის, იმავე სახელმძღვანელოს, წარმოსახვის უნარი მრავალფეროვანია, ამიტომაც მას შეუძლია შექმნას სრულიად ახლებური ვარიანტი ამოსავალი ონიმისა, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს ენის ლექსიკურ მარაგს.

ქვემოთ წარმოდგენილი სქემები ნაწილობრივ ამოღებულია 2024 წელს შესრულებული სამაგისტრო ნაშრომიდან „მეტსახელების გრამატიკული და სემანტიკური ანალიზი კახურში სოფელ ველისციხის მაგალითზე“. ანთროპონიმების საყრდენი სეგმენტები წარმოდგენილია მუქი შრიფტით.

პაჩაიაძე

სქემა I

ერთსეგმენტიანი ორსეგმენტიანი სამსეგმენტიანი

(იხ. სქემა II)

ორი მარცვლის შემცველი საყრდენი სეგმენტი					
ერეკლე იოანე ლუარსაბი მაია პირიმთვარე ოქროპირი ხათუნა					
VC	CVC		CV	CVCC	VCC
აკაკი	ბადრი	მელანია მერაბი		ბაქარი	ირმა
ანა	ბარბარე	მერი ნაზი	გივი	ზაქარია	
არჩილი	ბაჩანა	ნათელა ნანა	გრიგოლი	მარგალიტა	C
ეთერი	ბესარიონი	ნატალია	გულქანი	ნესტანი	
ილია	ბექა	ნოდარი	დიანა	სერგო შაქრო	
ლია	გაბრიელი	ნუგზარი პა(ვ)	ზაალი თამარი		იოსები
ოთარი	გაგა	ლე პაატა	თეონა		ნინო
ოლა	გეგა	პაპუნა პეტრე	თინათინი		CCV
	გოჩა	რაფიელი	თორნიკე ლე(ვ)		
	გუგა	რობიზონი	ანი მა(კ)რინე		
	დავითი	რუსუდანი	მა(რ)იამი მი(ხ)		
	დარეჯანი	საბა ტარიელი	ეილი რე(ვ)		
	დაჩი	ტიტე ქეთევანი	ა(ზ)ი სალომე		ზვიადი
	დემეტრე	ქრისტინე ცუცა	სიმონი		მზევინარი
	დოდო		სულხანი შა(ლ)		
	ვაჟა		ვა შორენა		
	ვახტანგი		ციალა დარეჯანი		
	ვლადიმერი				
	ზურაბი				
	თევდორე				
	კესარია				
	ლუკა				
	მა(გ)დალინა				
	მამა				
	მანანა				

პარალელური ანთროპონიმი

სქემა II

ერთსეგმენტიანი

ორსეგმენტიანი

სამსეგმენტიანი

ალექსანდრე ალექსანდრე ალექსანდრე

ანასტასია ანასტასია ანასტასია

ელენე ელენე ელენე

ელისაბედი ელისაბედი ელისაბედი

(შოშიაშვილი, ა., 2024, გვ. 53-54)

აბესალომი აბესალომი	დიმიტრი დიმიტრი	იაკობი იაკობი	მზეხათუნა მზეხათუნა
ავთანდილი ავთანდილი	ევგენი ევგენი	იამზე იამზე	ნაზიბროლა ნაზიბროლა
გიორგი გიორგი	ეკატერინე ეკატერინე	ივანე ივანე	ნიკოლოზი ნიკოლოზი
გულვარდი გულვარდი	ელგუჯა ელგუჯა	ირაკლი ირაკლი	სოლომონი სოლომონი
გულთამზე გულთამზე	ელეონორა ელეონორა	კახაბერი კახაბერი	ქაიხოსრო ქაიხოსრო
გულნაზი გულნაზი	თეიმურაზი თეიმურაზი	მზექალა მზექალა	ქალთამზე ქალთამზე

ლიტერატურა

- გოდერძიშვილი, ქ. (2012). ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, თბილისი: „უნივერსალი“
- ზექალაშვილი, რ. (2015). ანთროპონიმების ჰიპოკორისტიკული ფორმები ქართულ დისკურსში, ქართველური ონომასტიკა, VII, 116-130, თბილისი: უნივერსალი
- ლლონტი, ა. (1964). ქართული ლექსიკოლოგია, თბილისი: „ცოდნა“
- ლლონტი, ა. (1967). ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“
- შანიძე, ა. (1980). დემეტრედან დიმიტრამდე, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, 3-11, თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“
- შოშიაშვილი, ნ. ა. (2024). მეტსახელების გრამატიკული და სემანტიკური ანალიზი კახურში სოფელ ველისციხის მაგალითზე, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი
- შოშიაშვილი, ნ. ბ. (2024). პარალელური ანთროპონიმების ფორმობრივი ანალიზი, საენათმეცნიერო

- ძიებანი XLV, 88-108, თბილისი: „არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი“
- ცხადაია, პ. (2005). ონომასტიკის შესავალი, თბილისი: „უნივერსალი“
- ჭუმბურიძე, ზ. (2003). რა გქვია შენ, თბილისი: „ლოგოს პრესი“
- ხორნაული, გ. (2003). ქართული ონომასტიკა, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“
- ჯორბენაძე, ბ., კობაიძე, მ., ბერიძე, მ. (1988). ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (მასალები ქართული ენის სისტემური კურსისათვის), თბილისი: „მეცნიერება“

კორპუსები

- ქართული ენის ეროვნული კორპუსი - <http://gnc.gov.ge/gnc/page>
- Voyant tools - <https://voyant-tools.org/?corpus>